

ეკონომიკაში კულტურის როლის წარმატების წინაპირობები - გერმანული გამოცდილება - პროფესორი ოლივერ რაისნერი, ხელოვნების და მეცნიერების სკოლა, ჟანმონეს კათედრა, ევროპული და კავკასიური კვლევები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**შეაბედი საქართველოში
კულტურული მემკვიდრეობა
ეკონომიკური განვითარებისათვის**

მე როგორც ადამიანი რომელიც 13 წელი საქართველოში ცხოვრობს, ვხედავ პრობლემებს კონკრეტულად ჰორიზონტალურ თანამშრომლობაში და ურთიერთმოქმედებაში.

წელს საქართველო გერმანიის ურთიერთობების საიუბილეო წელია, “მომავლის მემკვიდრეობის“ ფარგლებში ჩვენ შევიმუშავეთ პროგრამა რომლის მიხედვითაც კულტურის რესურსების ყოველწლიური აღრიცხვა უნდა ჩატარდეს, არამარტო იმისთვის რომ ვიცოდეთ რამდენი და რა გვაქვს, არამედ, იმისთვის რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ გააცნობიეროს რომ ეს მემკვიდრეობა შეიძლება მათ დაეხმაროს განვითარებაში. თვითონ უნდა ჩაერთონ პროცესებში და გაიაზრონ რა არის საჭირო ტურისტების მოზიდვისა და სტაბილიზაციისათვის. ყველზე მეტი სოფელი კოლონია (15) აღმოჩნდა ქვემოქართლში. აქ უკვე იყო დაგეგმილი გერმანული ტურისტული მარშრუტის გაკეთება. მე შევთავაზე რომ გაეკეთებინათ ეს მარშრუტი და ასევე ველოტური, რადგან აქ არ არის საუბარი მხოლოდ მემკვიდრეობაზე, აქაურობა შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მიზნის ტურისტული აქტივობებისთვის. ასევე საჭიროა სოფლებში იყოს ინფრასტრუქტურული და ცოდნითი მზაობა იმისთვის რომ ეს პროცესი ერთობლივად წარიმართოს. ჩვენ ვსაუბრობდით კულტურაზე როგორც პროდუქტზე, მნიშვნელოვანია რას და როგორ ვაკეთებთ, ეს პროცესიც ძალიან მნიშვნელოვანია და ამაზეც მეტი საუბარი და დისკუსია არის საჭირო. იმისთვის რომ ყველანი ერთად ჩაერთონ თემში და კონკრეტულ კულტურულ მიმართულებებში. ეს ინვენტარიზაციის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩართულობის პროცესი მათი მხრიდან. მეორე საკითხია ურთიერთობა გერმანიასთან და სახლმუზეუმის შექმნა და სხვა, ასევე სამახსოვრო ღონისძიებები.

თბილისში სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, იყო გერმანული კოლონია ნოიტიფლისი, და ასევე ალექსანდროდორფი, დღევანდელი პავილიონი ექსპოზიორჯია და მისი მიმდებარე ტერიტორია, თბილისის მერიას ჰქონდა იდეა აქ გაეკეთებინათ ტურისტული ცენტრი, თუმცა ინვეტორის გამოჩენის შემდეგ გეგმები შეიცვალა.

შესაქმნელია მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჩართულობას, ამის გარეშე ყველაფერი რაც გადარჩა განადგურდება და ტურისტული პოტენციალიც გაქრება.

საერთო ჯამში 1000-ზე მეტი სახლი გადარჩა, აქედან გამორჩეულია ბოლნისის დასახლება, სადაც არსებობს სერიოზული პოტენციალი გერმანელი ტურისტების მოსაზიდად, რისთვისაც უნდა შექმნას ტურიზმის ადგილობრივი საინფორმაციო ცენტრი, გადამზადების ცენტრი ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ეხლა მზადდება ციფრული მუზეუმის პროექტი სადაც თავს მოიყრის ყველა არსებული მასალა და ხელმისაწვდომი გახდება. რაც ხელს შეუწყობს დამატებით ტურისტების მოზიდვას. ამ სირცეებში ბევრი საინტერესო ღონისძიების დაგეგმვა შეიძლება იმ გვრად რომ შემოქმედებითი ინდუსტრიის და ეკონომიკის თანამშრომლობა შედგეს. რაღაც პერიოდში პრობლემა გაჩნდა მოსახლეობასთან, ამიტომ საჭიროა შეთანხმებული მუშაობა რომ სასურველი შედეგი მივიღოთ.